საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბრძანება
N26

17.01.2013წ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთათვის
ზოგიერთი ქმედების აკრძალვის შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 27 დეკემბრის N614 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების მე–11 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.აეკრძალოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში–სამინისტრო) მოსამსახურეებს სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში.
2. ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის შემთხვევაში სამინისტროს მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური.
3.სახდელის შეფარდებიდან ერთი წლის განმავლობაში, სამინისტროს მოსამსახურის მიერ განმეორებით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვის შემთხვევაში, სამინისტროს მოსამსახურე განთავისუფლებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნას შინაგან საქმეთა ორგანოებიდან.
4.ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში სამინისტროს მოსამსახურეს შეეფარდება, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სახდელი, ასევე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
5.დაევალოს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს, ამ ბრძანებით გათვალისწინებული ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში აცნობონ უშუალო უფროსს და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.
6. სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ ბრძანების მე–5 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში დგება მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.
7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.
8. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
9. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**